საქართველოს კანონი

რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს რაჭის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის სფეროში არსებულ ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს.

2. რაჭის დაცული ტერიტორიებისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს რაჭის ეროვნული პარკის შექმნა;

ბ) უზრუნველყოს რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) შექმნა;

გ) მოაწესრიგოს რაჭის ეროვნული პარკისა და რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) მართვის მექანიზმები.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია:

ა) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველსაყოფად ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული, ბუნებრივი ან სახეცვლილი რაჭის დაცული ტერიტორიების დაცვას, აღდგენასა და გონივრულ გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოს რაჭის დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით – საქართველოს „წითელ ნუსხასა“ და გლობალურ „წითელ ნუსხაში“ შეტანილ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

გ) უზრუნველყოს რაჭის დაცული ტერიტორიების ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციისთვის, ჯანმრთელობის დაცვისა და ეკოტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება;

დ) უზრუნველყოს რაჭის დაცული ტერიტორიებისთვის მიკუთვნებული მიწის, ტყის, წყლის, ცხოველთა სამყაროს და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და გონივრული გამოყენება;

ე) უზრუნველყოს რაჭის ეროვნულ პარკში განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ბუნებრივი და ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა, აღდგენა და მონიტორინგის განხორციელება;

ვ) უზრუნველყოს უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნების წარმონაქმნების, ცალკეული ბუნებრივი კომპონენტების ანთროპოგენიზაციის შედეგად გადაგვარებისა და განადგურებისგან დაცვა;

ზ) რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე (დამხმარე ზონაში) ხელი შეუწყოს ხალხური შემოქმედების ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას.

მუხლი 3. რაჭის დაცული ტერიტორიები

1. რაჭის დაცული ტერიტორიების ფუნქციურ-გეგმარებითი ორგანიზება (ზონირება) ემყარება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ საფუძვლებს. რაჭის დაცული ტერიტორიებია:

ა) რაჭის ეროვნული პარკი;

ბ) რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა).

2. ამ კანონით გათვალისწინებული რაჭის დაცული ტერიტორიების ზონირება და შესაბამის ზონებში დაშვებული საქმიანობები, „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, განისაზღვრება შესაბამისი დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესით.

მუხლი 4. რაჭის ეროვნული პარკის მდებარეობა და ფართობი

1. რაჭის ეროვნული პარკი მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მისი საერთო ფართობია 50835 ჰექტარი.

2. რაჭის ეროვნული პარკი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	380203.7	4724920	109	382262.2	4730914	217	397800	4727079	325	391985.9	4729682
2	379449.6	4724250	110	382912.7	4730159	218	397055.8	4726813	326	391974.7	4729899
3	378764.7	4723882	111	383381.4	4729304	219	396257	4726755	327	387811.2	4730779
4	378202.3	4723998	112	383645.9	4728347	220	395291.5	4726967	328	387317.7	4723512
5	377928.5	4724628	113	383555.3	4727440	221	394386.6	4726967	329	383579	4721345
6	377042.7	4724471	114	383549.5	4727272	222	393608.1	4727567	330	383720.2	4721444
7	376400.5	4723745	115	382950.2	4727288	223	392856.1	4728222	331	383627.6	4720420
8	375937.3	4722864	116	382094.9	4726549	224	392732.7	4728803	332	383869.2	4720757
9	375449.3	4722023	117	381541.3	4726086	225	393684.6	4729109	333	393581.7	4721093
10	374631.2	4721839	118	381107.4	4725684	226	394610.9	4729479	334	392992.7	4722463
11	373281.1	4721973	119	380768.3	4725391	227	394073.1	4729669	335	390392.6	4722031
12	372818.8	4722324	120	378105.5	4731132	228	393146.5	4729300	336	393370.6	4721605
13	371977.2	4722700	121	368884.8	4738806	229	392249.4	4729427	337	396528.7	4725792
14	371332.9	4722928	122	366763.8	4742684	230	392193.2	4730236	338	396565.1	4726063
15	370853.1	4723731	123	366101.2	4743022	231	392313.6	4730501	339	397109.2	4726745
16	370179.3	4724386	124	365718.1	4742785	232	392049.8	4730807	340	396409.4	4728780
17	369876.2	4725236	125	372689.3	4737420	233	391756.7	4730911	341	396631.1	4728634

18	369365.1	4725730	126	371412.5	4736124	234	391298	4730054	342	397029.5	4726965
19	368431.5	4725624	127	368786	4725183	235	390505.5	4729733	343	397805.3	4724578
20	367911.6	4726275	128	366740	4726491	236	389832	4729928	344	388462.2	4727004
21	367492	4727183	129	365527.3	4733788	237	388942.8	4729507	345	388460.9	4727036
22	367072.3	4728090	130	377800.9	4731060	238	388104.1	4729399	346	388531.8	4727006
23	366652.7	4728998	131	377808.9	4730907	239	387756.2	4730344	347	388521	4726979
24	366141.7	4729839	132	367157.5	4743865	240	387258.3	4730852	348	381217.6	4720511
25	365477	4730517	133	365899.9	4746571	241	386587.2	4730701	349	381244.1	4720567
26	365148.2	4731424	134	363198.9	4742331	242	386128.8	4730045	350	381327.8	4720504
27	365245.8	4732409	135	363344.2	4745668	243	385250.8	4730374	351	381258.6	4720451
28	365539.8	4733360	136	362438.8	4747413	244	384616.3	4730978	352	387119.5	4732969
29	365004.7	4733805	137	363338.2	4744918	245	384627.8	4731945	353	387126.5	4732969
30	364549.6	4732928	138	363859.2	4739236	246	385264.6	4732714	354	387122.3	4732963
31	364397.9	4731941	139	364252.2	4740002	247	385960.1	4733430	355	384733.5	4736040
32	364438.5	4730945	140	362171.5	4734641	248	386648.1	4734155	356	384635.1	4736227
33	365000.6	4730136	141	362615.9	4736691	249	387203.7	4734973	357	383041.7	4735888
34	365338.7	4729799	142	364808.4	4725830	250	389209.9	4734361	358	383024.2	4736120
35	365828.5	4727702	143	362664.7	4733156	251	387388.6	4735471	359	395062	4731678
36	366588.2	4726966	144	392470.3	4723408	252	386645.9	4734873	360	392916.4	4732908
37	366685.2	4726675	145	395981.5	4727749	253	385981.2	4734130	361	384778.1	4736815
38	364843.6	4725682	146	396014.9	4728710	254	385315	4733384	362	382959.1	4737059
39	365400.8	4725781	147	395493.3	4728322	255	384541.6	4732763	363	390888.1	4735863
40	364921	4726152	148	394302.8	4721354	256	384017.5	4731911	364	382360.4	4737500
41	365789.4	4725989	149	393431.3	4721263	257	383361.4	4732131	365	381177.1	4736796
42	364989.7	4725609	150	393235.8	4722117	258	383063.7	4732593	366	386882.9	4738225
43	364888.8	4726278	151	392666.7	4722073	259	383294.1	4733078	367	383314.2	4745155
44	364458.2	4727142	152	391724.2	4721772	260	383829	4733679	368	379117.5	4745625
45	364325.6	4728067	153	390867.9	4722258	261	384231.5	4734571	369	375654.3	4746013
46	364148.7	4729017	154	389956.5	4722013	262	384348	4735273	370	375076	4746565
47	364068.7	4729963	155	389077.7	4721629	263	384087.5	4735253	371	375003.4	4747332
48	363509.3	4730783	156	388255.5	4722119	264	384312	4735692	372	372895.2	4748026
49	362791.2	4731442	157	387895.8	4723027	265	383651.4	4735318	373	374560.2	4747789

50	362519.8	4732383	158	387090.6	4723419	266	383199.2	4735174	374	370689.4	4748569
51	362541.1	4733321	159	386283.6	4722903	267	382744.3	4735051	375	369484.4	4749118
52	362274.6	4734263	160	385783.1	4722224	268	381501.3	4734966	376	366773.2	4749190
53	362446	4735177	161	385128.1	4721533	269	380989.6	4735207	377	366949.5	4748983
54	362795.9	4736084	162	384378.8	4720926	270	381725.9	4735497	378	368688.6	4748753
55	362762.2	4736986	163	383792.6	4721142	271	391962.8	4733094	379	371013.1	4748780
56	363362.2	4737740	164	383636.3	4720924	272	388508.7	4733163	380	370055.4	4748650
57	363932.7	4738532	165	383391.5	4719998	273	387889	4735237	381	371737	4748524
58	364004.2	4739467	166	382504.3	4719648	274	385468.4	4740039	382	373852.5	4747776
59	364178.3	4740373	167	381652.6	4719375	275	396093	4732030	383	373283.6	4748014
60	363686.9	4741234	168	380978.5	4720111	276	396364	4732963	384	378724.2	4745821
61	363271.5	4742126	169	380694.9	4721049	277	398860	4731861	385	380218.2	4745853
62	362460.3	4742566	170	381187.2	4721873	278	398355	4730956	386	384874.8	4742061
63	361823	4743261	171	381626.1	4722753	279	395427.8	4728097	387	376115.8	4736224
64	362287	4744119	172	382152.9	4723537	280	396718.4	4728537	388	389354	4736931
65	363135	4744613	173	382613.3	4724415	281	390823.5	4729561	389	392046.2	4734673
66	363648.4	4745391	174	383001.4	4725299	282	397455.1	4729656	390	393584.9	4734014
67	363134.4	4746186	175	383328.9	4726218	283	383848.2	4731647	391	394178	4734308
68	362695.4	4747009	176	383697.8	4727146	284	384847.2	4730434	392	394644.7	4733714
69	362620.2	4747806	177	384288.1	4727931	285	386431.5	4730036	393	394710.6	4733780
70	362893.5	4748673	178	385119	4728436	286	382336.1	4734306	394	389871.3	4736729
71	363579	4749352	179	386116.7	4728416	287	381458.3	4736395	395	388145.4	4738054
72	364006.2	4749982	180	387098.6	4728272	288	382170.5	4735958	396	387016.8	4735300
73	380840.6	4745432	181	388076	4728388	289	382882.4	4735333	397	387807.2	4735137
74	366421.8	4748729	182	388935.8	4728440	290	384596.9	4735113	398	387657.5	4735257
75	366388.3	4747787	183	389738.3	4728218	291	391624.2	4731801	399	368367.2	4725705
76	366141.9	4746849	184	390622.1	4728355	292	395058.1	4721612	400	368619	4725855
77	366081.2	4745987	185	391500	4728326	293	397633.3	4724356	401	368596.8	4725953
78	366438.1	4745070	186	391450.7	4727743	294	398155.7	4726686	402	368886.3	4725951
79	366970.1	4744227	187	392240.9	4727853	295	398155.7	4726903	403	368888.2	4726166
80	366696.1	4742342	188	392784.9	4727464	296	397453.5	4726916	404	369024.8	4726109
81	367081.6	4741442	189	393040.3	4726586	297	395557.5	4728812	405	369038.9	4726358

82	367510.8	4740539	190	392888.2	4725599	298	394723.8	4729747	406	369104.6	4726274
83	368177.7	4739830	191	393287.7	4725763	299	392450.6	4728538	407	369192.6	4726605
84	368294.2	4738355	192	393818.3	4726451	300	390230.9	4730120	408	369266.7	4726538
85	367300	4738285	193	394647	4726099	301	391275.4	4727872	409	369318	4726811
86	366520	4736510	194	395495.9	4725738	302	391646.7	4728203	410	369395.9	4726745
87	369390	4735180	195	396613.3	4725037	303	392904.3	4725320	411	369522	4726849
88	369848.1	4736060	196	397314.1	4724330	304	393166	4725320	412	373157.9	4721991
89	370333.2	4735874	197	397560.5	4724856	305	395953.2	4725643	413	373347.1	4722270
90	371208.6	4736158	198	396797.6	4725497	306	393601.7	4726473	414	373425.8	4722205
91	371257.6	4735583	199	396889.9	4726106	307	395577.1	4724765	415	373841.4	4722564
92	372142.7	4735437	200	397799.8	4726499	308	395391.9	4724802	416	373892.1	4722789
93	372680.6	4736191	201	397882.3	4727108	309	394183.4	4726121	417	374053.3	4722778
94	372619	4736989	202	398570.1	4727831	310	393051.3	4727109	418	374034.2	4722879
95	373203.2	4737614	203	399245.8	4728564	311	391892.2	4728042	419	374280.9	4722891
96	374190.7	4737467	204	400072.9	4729105	312	392456.5	4728715	420	374202.4	4722953
97	375149.2	4737210	205	400873	4729347	313	395050.3	4726080	421	374387.7	4723181
98	376008.8	4736715	206	401112	4729222	314	394741	4726861	422	388177.6	4729330
99	376721.7	4736301	207	396996.3	4729552	315	395087.7	4726911	423	389328.5	4730177
100	375828.1	4734048	208	397007.2	4729631	316	392633.7	4724338	424	388596.7	4729601
101	376075	4733671	209	382801.3	4736105	317	392332.1	4723417	425	388742.2	4729819
102	376629.5	4734494	210	384744.5	4736201	318	392710.5	4724266	426	389059.6	4730045
103	377245.6	4733759	211	401242.4	4729100	319	391314.4	4727715	427	388944.5	4729859
104	378231	4733623	212	401095.6	4729157	320	390209.3	4728105	428	389284.8	4730061
105	379184.8	4733327	213	400847.7	4729283	321	387770.1	4728290	429	388287.8	4729418
106	380064.6	4732874	214	400009.3	4729055	322	389506.5	4728511	430	388233.9	4729503
107	380890.7	4732310	215	399176.8	4728518	323	392415.3	4728624	431	388562.1	4729245
108	381684.6	4731720	216	398504.2	4727782	324	392867.4	4729156			

3. რაჭის ეროვნული პარკის საზღვარი წერტილიდან (გეოგრაფიული კოორდინატები: X395058,

Y4721612.5) წერტილამდე (გეოგრაფიული კოორდინატები: X364006.21, Y4749982.2) მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

მუხლი 5. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) მდებარეობა, მისი დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი და სახელმწიფო მართვა

1. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: უწერა, გლოლა, ჭიორა, ღები, პატარა ღები, გონა. მისი საერთო ფართობია 550 ჰექტარი.

2. რაჭის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა, მისი დაცვისა და გამოყენების რეჟიმი

1. რაჭის ეროვნული პარკის სახელმწიფო მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. რაჭის ეროვნული პარკის დაცვისა და გამოყენების რეჟიმი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, აღნიშნული დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმით ან დროებითი რეგულირების წესის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. რაჭის ეროვნული პარკის საზღვრებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში დასაშვებია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა/მოწყობა/განთავსება (მათ შორის, ტექნიკური საშუალებების განთავსება) და სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებების განხორციელება.

3. რაჭის ეროვნული პარკის საზღვრებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ტურისტული საქმიანობა, მეცნიერული კვლევა-ძიება, მშენებლობა, ობიექტების მომსახურება და ნებისმიერი სხვა საქმიანობა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის შესაბამისად.

4. რაჭის ეროვნულ პარკში დასაშვებია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე კვლევითი, სარეაბილიტაციო და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და მათი მოვლის ღონისძიებების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული ურთიერთობების მოწესრიგება

1. ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული ქონებრივი ურთიერთობების ფარგლებში დასაშვებია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში უფლებების (საკუთრება, უზუფრუქტი, აღნაგობა, სერვიტუტი, იპოთეკა, ქირავნობა და სხვა) რეგისტრაცია.

2. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ ტერიტორიებზე ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე, მათ შორის, ლიცენზიის გაცემის მიზნით დაწყებულ საქმის წარმოებაზე;

ბ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე.

მუხლი 8. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

16 ნოემბერი 2022 წ.

N2034-IXმს-Xმპ